№ 8. 27 თებერვალს 1871 27 თებერვალს № 8.

დროება

ГАЗЕТИС ФАСИ

თფილისში და გარეშე ადგილებში: გაგზავნით — 7 მან. ერთისს წლისა; 4 — ნახევარის წლისა; 2 — 50 კ. სამის თვისა; 1 — ერთის თვისა.

გაუგზავნელათ: — — — 6 მან.; — — — 3 — 50 კ.; — — — 2; — — — „ — 75 კ.; — — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით — ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

ხელის-მოწერა მიიღება: ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, შელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი:

საქართველო: ქართულ სახელმძღვანელოებზე,—წვრილი ამბები.—რუსეთი:—წვრილი ამბები.—უცხო ამბები.—საფრანგეთი,—ინგლისი,—იტალია,—ესპანეთი.—ამ კვირის ტელეგრამმები.—ნამდვილი მიზეზი სხვა და სხვა ავათმყოფობისა.—ნარევი.—მომრიგებელი სასამართლოს სცენები.—

ბიბლიოგრაფია: „ქრებული“—პირველი და მეორე წიგნი.

საქართველო

ქართულ სახელმძღვანელოებზე

ჩვენი ხალხისათვის, როგორც საზოგადოთ ყველასთვის, უპირველესი საშუალება ცხოვრების გაუმჯობესობისა არის განათლება. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა და, ღვთის მადლით, ისე კარგათ გაიგეს ჩვენში ეს, ამ უკანასკნელ დროს, რომ ამის ახსნა და დამტკიცება აღარავისთვის აღარ არის საჭირო. ლაპარაკი და ბაასი კიდევ შეიძლება გამართოს კაცმა იმაზე—თუ როგორი მიმართულება უნდა ჰქონდეს მაგ. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ხალხის სწავლასა და განათლებას; მაგრამ „დროებამ“ ერთხელ *) გამოთქვა ამ უკანასკნელ საგანზე თავის აზრი და ამ ჟამად აღარ მოუბრუნდება იმის განხილვას.—სინათლესავით ცხადათ არის აგრეთვე დამტკიცებული, რომ ყოველგვარ სწავლასა და განათლებას ათასჯერ უფრო ადვილათ და ნაყოფიერათ შეითვისებს კაცი, როცა პირველ-დასაწყისი სწავლა მშობლიურს ენაზე ეძლევა იმას.

ყოველი მოპოებული ნიეთი სარგებლობას მხოლოთ მაშინ მოგვიტანს, როცა ჩვენ მოვახერხებთ ამ ნიეთის პირდაპირ ცხოვრებაში გამოყენებას; აგრეთვე ყოველი ჩვენგან გაგებული აზრი მხოლოთ მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა ვეცდებით და მოვიყვანთ იმას სისრულეში. ჩვენ ხომ გავიგეთ და მივხვდით, რომ ყოველი ახალგაზდასთვის აუცილებელათ საჭიროა, რომ სწავლა იმან მშობლიური ენიდამ დაიწყოს? ახლა ვიკითხოთ: ესცდილობთ ჩვენ როგორმე ამ საქმის სისრულეში მოყვანას? სამწუხაროთ უნდა გავტყდეთ, რომ—ძალიან სუსტათ. სასოფლო შკოლებში სწავლის მიღებისათვის აუცილებლათ საჭიროა სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნების ქონა. რამდენი სახელმძღვანელო წიგნები გვაქვს ჩვენ ქართულს ენაზე? თუ ძველებურ „ღეომეტრიებს“, „რიტორიკებს“ „ღრამატიკებსა“ და „ფილოსოფიებს“ არ ჩამოვთვლით, რომელნიც ახლა თითქმის სრულიათ გამოუდეგარნი არიან,—ჩვენ გვექნება სამიოდ რიგიანი სახელმძღვანელო წიგნი, რომლითაც შეუძლიანთ ისარგებლონ ჩვენ ახალგაზდა მოსწავლეთა: „ბუნების ქარი“—უფ. ბოგებაშვილისა, რუსული ენის სასწავლებელი სახელმძღვანელო—უფ. ბ. კ—შვილისა და გვარიანი ანბანები. უუ. ვ. თულაშვილისა და მ. ყიფიანის არითმეტიკას, მე არა ვთვლი, რადგან ის ისეთ დროს და ისეთ ნაირათ არის დაწერილი, რომ ახლა დიდის გაჭირვებით შეიძლება გამოიყენოს კაცმა.

ამ ორ-სამ წიგნს გარდა, ჩვენ, ქართულს ენაზე, არ მოგვეძევა არც ერთი რიგიანი სახელმძღვანელო, თუმც იმათში აუცილებელ საჭიროებას ეპოებთ.

ჩვენ არ მოგვეძევა არც რიგიანი ქართული არითმეტიკა, არც სამშობლო და საზოგადო ისტორია, არც გეოგრაფია, არც გრამატიკა, არც სახელმძღვანელო სხვა და სხვა ბუნებითი მეცნიერებისა და არც სხვა და სხვა ათასი წიგნები, რომელნიც თითქმის ყოველს სასოფლო შკოლაში, ყოველს ოჯახში დიდ საჭიროებას შეადგენენ.

რისგან არის ეს?

ჩვენი აზრით, ამ საქმის სისრულეში მოყვანას, როგორც საზოგადოთ ყოველ კეთილ საქმეს ჩვენში, ორი მიზეზი აბრკოლებს: პირველი ის რომ ჩვენ, ქართველები, საზოგადოთ დაუდევარი ხალხი გახლავართ. ხშირათ ჩვენ არ გვესმის რიგიანათ რომელიმე საზოგადო საქმის სარგებლობა და ამისთანა საქმეს არ დავსდევთ. ამ შემთხვევაში დაუდევრობა და უზრუნველობა, რასაკვირველია, ბევრ ადგილებში ბევრ ... ...

ლია, მისატევებელია არა თუ ჩვენთვის, ყოველი კაცისათვის. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ხშირათ ჩვენ მივმხედარვართ, რომ ესა და ეს საქმე ჩვენ სარგებლობას მოგვიტანს, მაგრამ ი წყეული უდარდელობა გზაზე გვიდგას და ხელს არ გვანძრევინებს.

მეორე მიზეზი—უფულობაა. საუბედუროთ, ხშირათ მოხდება ხოლმე კაცის ცხოვრებაში, რომ, ვისაც საზოგადოებისათვის კეთილის მოტანა ჰსურს და ჭკუაც უჭრის ამ კეთილი საქმის სისრულეში მოყვანისათვის, ის კაცი შეუძლებელი და ღარიბია, და ამის გამო ყველაზე უძლიერესი დაბრკოლება—უფულობა—წინ უხვდება და არ ამოქმედებს ამისთანა საქმეებისათვის. უმეტესი ნაწილი შეძლებულებისა კი ხშირათ განზე დგანან; იმათ თავის საკუთარი საქმეები კარგათ გაუმართავთ და საზოგადო საჭიროებისათვის კი არას დარდობენ.

შეიძლება სახელმძღვანელოების უქონლობის ერთ მიზეზათ ისიც ჩაგდოს ვინმემ, რომ მცოდნე და განსწავლული კაცები არა გვყვანან. მაგრამ არა მგონია, რომ ეს მიზეზი მიზეზათ ჩაიგდოს: მართალია, კარგათ განსწავლული და მცოდნე კაცები ჩვენში ბევრი არ მოიპოვება, მაგრამ სახალხო შკოლებისთვის სახელმძღვანელოს დაწერა, ან განსაკუთრებით იმის სხვა რომელიმე ენიდამ გადმოკეთება, ისეთი ძნელი საქმე არ არის, რომ ჩვენ ნასწავლ ახალგაზდებს არ შეეძლოთ.

ასე დიდხანს ამ მიზეზებზე იმიტომ ვილაპარაკე, რომ რომელიმე საქმის სისრულეში მოყვანა მხოლოთ მაშინ შეიძლება, როდესაც ჯერ იმის დამაბრკოლებელი მიზეზები მოისპობიან. მაგრამ, თუ ჩვენ ქართველების დაუდევრობის მოსპობას და კეთილგონიერი კაცების გამდიდრებას უცადეთ—საქმე შორს წავა. იმედი გექონდეს, რომ, რადგან სახელმძღვანელოების გამოცემის დაწყებას ერთობ ბევრი არა უნდა რა, მალე გამოჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც ეცდებიან ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

უკანასკნელათ ვიტყვით, რომ, თუ სადმეა ჩვენში აუცილებლათ საჭირო და ყურადღების ღირსი საზოგადო საქმე, ეს სახელმძღვანელოების გამოცემა არც ერთ იმათგანზე ნაკლებ საჭიროებას არ შეადგენს და არც ერთ იმათგანზე ნაკლები ყურადღების ღირსი არ არის.

* * *

წასულს იანვარში თფილისის სამასწავლებლო სემინარიასთან (ავლაბარში) ქალების უფასო შკოლა გაიხსნა. ეს შკოლა გახსნა იმ „კეთილის-მყოფელმა საზოგადოებამ“, რომელმანც ღარიბებისა და იმათ შვილების კეთილდღეობის აღზრდისათვის მზრუნველობა იკისრა. შკოლის უფროსათ დანიშნულია სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი—უფ. ხაროვი.

* * *

ბორის უეზდის სასწავლებელის მასწავლებლებს გაუმართავთ ისეთი კასსა, რომელშიაც თვითეულმა იმათგანმა უნდა შეიტანოს რაოდენიმე წილი თავის ჯამაგირისა. ამნაირათ შეკრებილი ფულებით დაჭირების დროს თვითონ მასწავლებლებს და იმათ ოჯახშვილს შეუძლიანთ ისარგებლონ. ეს კასსის დაფუძნება დამტკიცებულია დიდი მთავარის კავკასიის ნამესტნიკისაგან.

* * *

მისმა იმპერატორებითის უდიდესობამ დამტკიცა სახელმწიფო რჩევის აზრი, რომლითაც ქ. სოხუმში ქალების შკოლა უნდა გაიხსნას. ის სამი ათასი მანეთი, რომელიც გაძოანგარიშებით წელიწადში მოუნდება ამ შკოლას, სახელმწიფო ხაზინიდამ უნდა მიეცეს კავკასიის მხრის შემოსავლიდამ. ეს ფულების მოხმარება და აგრეთვე შკოლისათვის შესაფერი პროგრამმის გამოცემა დიდ მთავარს კავკასიის ნამესტნიკსა აქვს მინდობილი.

* * *

უმაღლესი გადაწყვეტილებით, ახლათ გახსნილი ხონის ორ-კლასიანი შკოლის ზედამხედველს და იმის თანაშემწეს მიენიჭება ის უფლებები სამსახურში და პენსიისა, რომელიც კავკასიის მხრის სხვა პირველ დასაწყისი შკოლების ზედამხედველებსა და იმათ თანაშემწეთ აქვთ მინიჭებული.

* * *

თებერვლის 13-ს კავკასიის ტეხნიკურ საზოგადოებაში იყო მოლაპარაკება იმ სახელოსნო კურსებზე, რომლის გახსნა უნდათ კავკასიის რეალურ გიმნაზიებთან. უფ. ბერსევანოვმა სთქვა, რომ სხვა და სხვა კავკასიის ქალაქებში ისეთი კურსები უნდა გაიხსნასო და ამ კურსებში ისეთ მოხელობას უნდა ასწავლიდნენო, რომელიც ამ ქალაქისთვის და იმის ახლო-მახლო ადგილებისათვის ყველაზე უფრო საჭირო და გამოსადეგი იქნებაო. მაგ. თფილისის რეალურ გიმნაზიასთან ისეთი კურსები უნდა გაიხსნას, სადაც გზების კეთებას და არხების გაყვანას ასწავლიდნენო. უფ. ბერსევანოვმა სთქვა, რომ საქართველოში ბევრი ადგილები სრულებით უნაყოფო და უდაბნოები არიან იმის გადამკიდე, რომ წყალი ვერ გაუყვანიათ და უწყლოთ ვერც ერთი მცენარე ვერ გაიხარებსო. ამნაირი საგნების სწავლას განსაკუთრებითი მნიშვნელობა, უფ. ბერსევანოვის აზრით, მაშინ მიეცემა, როდესაც ჩვენში რკინის გზას გაიყვანენო. იმისივე აზრით, ბაქოს რეალურ გიმნაზიასთან უნდა გაიხსნას ისეთი კურსები, სადაც ზღვაში მოსიარულე კაცებისთვის გამოსადეგი საგნები უნდა ასწავლონ.

რუსეთი

* * *

ვარშავიდამ იწერებიან, რომ, მმართებლობის განკარგულებით, ფრანგების საყდრებისა და იმათი სამღვდელოებისთვის ნაანდერძევი ფულები და სხვა ქონება ხაზინაში შეირიცხებაო.

* * *

ოდესაში ამ ზამთარს ძალიან სიცივეებია თურმე, ასე რომ ხანდისხან—20 გრადუსამდი მიუწვევია. „ეს გარემოება მით უფრო საგრძნობელია ჩვენ ქალაქშიო, ამბობს გაზ. „ნოვოროსიის ტელეგრაფი“, რომ საზოგადოთ აქაური სახლები ძალიან ფუქსავატათ არის აშენებულიო: ას სახლში ათს ვერ მონახავ ისეთს, რომ ცოტათი რიგიანი კარები, ფანჯრები, ფეჩები და ფეხისადგილები ჰქონდეს გაკეთებულიო, ასე რომ სიცივისაგან, არ იცი, სად წახვიდე. სულ უბრალო სადგომი კი მამა-სისხლათ ღირს! ღმერთო, საცა არ გაიხვდავ, ყველგან და ყველაფერში ანგარება ჰსუფევს!“

ომის ამბები

იმ შემოკლებული ტელეგრამმებით, რომელნიც მხოლოთ ამ უკანასკნელ დროს ევროპის ამბებს გვაცნობებენ, მკითხველმა იცის, რომ საფრანგეთსა და ბერმანიას შუა ომი გათავდა, საფრანგეთის საუბედუროთ; ასე რომ „ომის ამბებს“ ახლა ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ახლა მხოლოთ საფრანგეთში მმართებლობის დაფუძნებასა და მორიგებაზე მოლაპარაკებას აქვს ჩვენთვის ინტერესი. პირველ საგანზე დღემდი მხოლოთ ის ვიცოდით, რომ საფრანგეთში ბურჟუაზული რესპუბლიკა დაწესდა და მმართებლობა ოლლანების მომხრეებს ჩაუვარდა ხელში; ამაში გვარწმუნებს ის გარემოება, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტათ ტიერია ამორჩეული. ამაში გვარწმუნებენ ის ცნობები, სამზღვარ გარეთიდამ, რომელნიც წარსულ პარასკევს ოდესის გაზეთებმა მოიტანა თფილისში. მეორე საგანზე, ე. ი. მორიგების შესახებ, ჩვენ ვიცით, რომ ფრანცუზებმა ვერ აასრულეს თავის სიტყვა, რომ „ჩვენ ერთ მტკაველ მიწასაც არ მივსცემთ მტერსაო“, და ორი საუკეთესო მაზრა—თითქმის მთელი ელზასი (ბელფორის სიმაგრის გარდა) და ნემეცური ნაწილი ლოტარინგიისა ნემცებს დაუთმეს. ოდესის გაზეთებიდამ ამ ორის საგნის შესახებ ჩვენ ეტყობულობთ ზოგიერთ საინტერესო ამბებს, რომელნიც იმათ ტელეგრაფით მისულიათ ვენიდამ და ბერლინიდამ. საზოგადოთ ამ ამბებიდამ სჩანს, რომ ყველაზე მომეტებული დეპუტატები ახალი განმაწესებელი კრებისთვის ორლეანისტების (მონარხისტების) პარტიიდამ ამოურჩევიათ და ყველაზე უფრო ნაკლები რესპუბლიკელები.

— პარიჟის მდგომარეობაზე ერთი ინგლისური გაზეთის კორრესპონდენტი ასე რას იწერება: „მოხდა თუ არა მორიგება, მე წავედი პარიჟში. საშინელი შთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზედ ამ ერთდროს მხიარული და ბრწყინვალე ქალაქის შეხედულობასა. ამჟამად პარიჟი სწორეთ საფლავსა ჰგავს: ხალხი სრულიად ღაცემულია სულითა და გულით, ზნეობით და ფიზიკურათ. ჭუჩები სალდათებითაა სავსე; სახორაგო დუქნები და ფურნები ყველა დაკეტილია, რადგან არაფერი აღარა აქვთ გასაყიდელი. ბუშინაწინ გამგელებული ხალხი საყასპოებს დაეცა, შეამტვრია კარები, მაგრამ ცოტა ოდენი ძველი, დამპალი ხორცის მეტი ვერა მოიტაცეს რა. ჭუჩებშა ყოველ მინუტში მკვდრებს მიასვენებენ. უმუშაობის დაშენას საშინელი ზეობითი ზედმოქმედება ჰქონდა ხალხზე; ამასთან ისიც უნდა მიუმატოთ, რომ კაპიტულაციის ორი დღის წინეთ პარიჟის ზოგიერთს უბნებში სრულებით არაფერი საჭმელი აღარ იშოებოდა გასასყიდელი. ხალხი საბოწარკვეთილებაშია ჩაეარდნილი; შიმშილმა და ყოველ-გვარ სხვა უბედურებამ ისე დააღონა, რომ არეულობის მოხდენა ჯერ-ჯერობით აზრშიაცარ მოუვა“. ერთ ფრანცუზულ გაზეთში სწერენ, რომ ნემცების ზარბაზნებმა სენის მარცხენა ნაპირზე ორასი სახლი დააზიანა; რაოდენიმე სახლი კი სრულებით დაანგრია და სამასი კაცი მოკლა. სამის დღის წინეთ მორიგებამდი პარიჟში არც ხეირიანი პური, არც ხორცი, არც შეშა და არც სანთელი არ იშოვებოდა. „შიმშილი, სიცივე და ჩვენი მოთავე კაცების წინდაუხედაობა და უნიჭოება—აი რა იყო ჩვენი დაღუპვის მიზეზი!“ ამბობს ეს გაზეთი.

— როგორც გაზეთებში სწერენ, პარიჟის გადასახდელ კონტრიბეციას (200 მილიონ ფრანკს) როტშილდი მისცემს ნემცებს. ამ საგანზე ვერსალში იქნებოდა მოლაპარაკება.

ბურბაკის დამარცხებაზე და იმისა არმიის შვეიცარიაში გაქცევაზე ეი რას იწერებიან მეორე ინგლისურ გაზეთში: „ადვილათ გასაგებია ბურბაკის დამარცხება, რომელსაც 130,000 კარგათ დაიარაღებული კაცი ჰყავდა ხელ ქვეით: უკანასკნელ დროს ამ ჯარში ხშირათ ორ-ორი დღის განმავლობაში სრულიად არაფერი საჭმელი არ მოეძებოდათ; ეს ამბავი თვითონ იმათმა ტყვეებმა ილაპარაკეს. ცხენებისთვის კი ხანდისხან ოთხი და ხუთი დღის განმავლობაში ვერაფერ საჭმელს ვერ პოულობენ. მე თვითონ ვნახეო, ამბობს ინგლისური გაზეთის კორრესპონდენტი, რომ შვეიცარიის სამზღვართან ბურბაკის არმიის აფიცრები დახვეოდნენ ლორებისთის გადაყრილ კართოფილს და გამგელებული სჭამდნენ; ცხენები კი ნაკელს მიდგომოდნენ და ცოხნიდენო. მთელი გზა, სადაც ფრანცუზებს გაევლოთ, მოფენილი იყო ცხენების მძოვრებით, რომელთაც ალაგ-ალაგ ხორცის ნაჭრები ჰქონდათ ამოჭრილი და შეჭმული; ყველგან დამტვრეული შასპოს თოფები, მიტრალიეზები, ხმლები, რევოლვერები და დაფრეწილი ტანისამოსი ეყარა. ამისთანა მდგომარეობაში მყოფ ჯარს ალბა როგორ შეეძლო დახელოვნებულ და ყოველი მხრით დაკმაყოფილებულ პრუსიის ჯარის გაძლება? რასაკვირველია, ნემცებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ეს ბურბაკის არმია და შვეიცარიის სამზღვართან შეამწყვიტეს, ასე რომ ან უნდა დამორჩილებულიყვნენ და ან შვეიცარიაში უნდა გაქცეულიყვნენ. ფრანცუზებმა ეს უკანასკნელი არჩიეს.

21 იანვ. ისინი გადავიდნენ შვეიცარიის სამზღვარზე. საოდაობა იყო თურმე ამ არმიის ნახვა: უქუდოთ, დაფრეწილ სერთუკებში, ფეხშიშველა, გამხდრები, ტალახით შემურულები ცახცახით მიჰყავდათ ისინი ნეშატელში, სადაც დატუსალებული უნდა ყოფილიყვნენ. სულ 80,000 კაცი გადასულა შვეიცარიაში, დანარჩენი საფრანგეთის სამხრეთისკენ გაქცეულა. საშინელი სანახავია ახლა ნეშატელი! ის გადაიქცა ომის ბანაკათ, რომელიც ცხადათ უჩვენებს კაცს—რა საზარლობა რამ არის ომიანობა. მაგრამ ამ საწყლებს შვეიცარიაში შემწეებიც ამოუჩნდენ: მუდამ დღე მოაქვთ სოფლებიდამ ურმებით საჭმელ-სასმელი იმ ქალაქებში, სადაც ფრანცუზები არიან დაყენებულნი. განსაკუთრებით მხურვალე მონაწილეობას იღებენ ქალები: ისინი ულიანავათმყოფებს, უკერავენ იმათ ტანსაცმელს, წიგნებს უწერენ შინ და სხვ.

— ბურბაკის თავის-მოკვლის მიზეზი ის იყო, როგორც ამბობენ, რომ არმიას საჭმელ-სასმელი შემოაკლდა და ამის გამო სალდათები უკმაყოფილოთ იყვენ იმაზე. ერთ დღეს იმათ დაიწყეს ყვირილი: „არ გვინდა ბურბაკი! თავიდამ მოგვშორდი, შე მოღალატეო!“ გაიგონა თუ არა ბურბაკიმ ეს ხმა, იმწამსვე მოაველო თურმე ხელი რევოლვერს და თავის თავზე დაიცალა. მძიმეთ დაკოდილი ბურბაკი ლიონში წაიყვანეს, სადაც რაოდენიმე დღის შემდეგ მოკვდა.

— ამბობენ, ვითომც ინგლისის წინადადებით ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოებს ერჩიოსპრუსიისთვის, რომ იმას შეემსუბუქებია საფრანგეთისთვის მორიგების პირობები. მაგრამ, როგორც სწერენ, ბისმარკს გადაწყვეტით უთქვამს, რომ არავის არა აქვს უფლება საფრანსეთსა და ჩვენ შუა საქმეებში გაერიოსო.

ბერლინიდამ, 30 იანვ. მორიგების პირობები შემდეგნი არიან: საფრანგეთმა უნდა დაუთმოს ნემცებს ელზასი და 60 კვადრატი მილი ლოტარინგიისა; ამას გარდა სამხედრო ხარჯის საზღველათ იმათ მიეცემა ერთ-ნახევარი მილიარდი ტალერი, 30 მილიონი ტალერი ნემცების ხომალდების დაჭერისათვის და 40 მილიონი ტალერი იმ ნემცების სასარგებლოთ, რომელნიც ომიანობის დროს გაგდებულნი იყვენ საფრანგეთიდამ.

ცნობები ბორდოდამ, 28 იანვ. (9 თებერვ.) ოლანში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს, სხვათა შორის ბამბეტაც ამოირჩიეს დეპუტატათ. პატიეში თითქმის ყველა ის კანდიდატები ამოირჩიეს, რომელსაც ტიერი ურჩევდა ხალხსა. ბორდოში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს. ჟირონდის დეპარტამენტში თითქმის ყველა ამორჩეველებს კონსერვატორების მხარე უჭირავთ. ოლლანში, პრუსიელების გავლენის გამო, რესპუბლიკელებს ძალიან ცოტა მომხრეები ჰყავთ.

ოც დეპარტამენტში დეპუტატების ამორჩევა ეი როგორ გათავდა: ტროშუ ამორჩიეს შვიდ დეპარტამენტში ანგარნიე—ოთხში, ბამბეტტა ამოირჩიეს—მარსელში, ალჯირში და ოლანში, ჟულ-ფავრი—რონისა და ენის დეპარტამენტში, გარიბალდი—ზღვის ნაპირა ალპებში და ალჯირში, ეტიენ არაგო—პერპინიანში.

ბერლინიდამ. არაგომ გამოსცა ცირკულიარი, რომლის ძალით არც ერთი შთამომავალი საფრანგეთის ძველი მეფეებისა, არც ბონაპარტის გვარისა—არ უნდა იყვენ ამორჩეულნი ბანმაწესებელი კრების წევრათ.

ვენიდამ, 30 იანვ. ნაპოლეონმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ

ახლანდელ საფრანგეთის მმართებლობას არა-ვითარი უფლება არა აქვსო. „სანამ ხალხი ხელ-მეორეთ არ გამოაცხადებს თავის სურვილს მმართებლობის შეცვლაზე, ამბობს ნაპოლეონი, მანამ ნამდვილი წარმომადგენელი ხალხისა მხოლოთ მე ვარო“.

საფრანგეთი

1 თებერვალს განმაწესებელი კრების სხდომაში ჟულ-ფავრმა გამოაცხადა, რომ ისა და სხვა იმის თანამომსახურენი თავს ანებებენ სამსახურს, მაგრამ ის ურჩევს კრებას, რომ დროებით, სანამ ახალ მმართებლობას არ დააწესებენ, ნუ დაითხოვს ახლანდელ მმართებლობასა. შემდეგ ფავრმა სთხოვა კრებას, რომ იმას მიეცეს ნება პარიჟში დაბრუნებისა, მორიგებაზე მოსალაპარაკებლათ.—კრებამ მიიღო დროებით 1848—1851 წლის დებულება.

— ბერლინიდამ არის ცნობა, რომ იმ შვიდას-ორმოცდა-ათი წარმომადგენლებიდამ, რომელნიც საფრანგეთის განმაწესებელ კრებაში ამოირჩიეს, თითქმის ორი მესამედი (2/3) მონარხისტები არიან და მხოლოთ ერთი მეხუთედი (1/5)—რესპუბლიკელები. ბონაპარტისტები კი ძალიან ნაკლებათ არიან.

— ბაზეთს „Siecle“-ში, რომელიც ბამბეტას მომხრეების ორგანია, მორიგების შემდეგ ყოველ დღე იბეჭდება შემდეგი სიტყვები ჟულ-ფავრისა: „ჩვენ არ დაუთმობთ არც ერთ ჯაველს ჩვენი მიწისას, ჩვენ არ დაუთმობთ არც ერთ ქვას ჩვენი ციხეებისას.“ ეს გაზეთი ამტკიცებს, რომ თვითონ ბერმანიას არ უნდა ომის გაგრძელებაო. „ცხადიაო, სწერენ ამ გაზეთში, რომ ბისმარკის მუქარა მორიგების მოსპობაზე, იმის გარეგა ჩვენს ამორჩევებში და ბამბეტასთან მტერობა,—ამტკიცებს, რომ იმას ჰსურს ფრანცუზების ზნეობით დაცემა და იმათი დარწმუნება, რომ ომიანობა უნდა მოისპოს, რადგან ეს ბერმანიისათვის ძალიან საჭიროა. შესანიშნავია, რომ ამაეე დროს ბისმარკი ძალიან ზდრილობიანათ და კარგათ ეპყრობა პარიჟის მმართებლებს, რომელთაც აგრეთვე მორიგება ჰსურთ. ერთი სიტყვით, ბისმარკს ჰსურს ჩვენი შემარცხვენელი და გამაუპატიურებელი მორიგებით გაათავოს საქმე. მაგრამ ჩვენ ყოველი ღონის-ძიებით უნდა გაუწიოთ იმას წინააღმდეგობა. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ჩვენი არმიები დამარცხებულია, ვიცით ისიც, რომ ძლიერი მტერი გვყავს; მაგრამ ამასთანავე ისიც ვიცით, რომ არის ისეთი გრძნობა, რომელიც ყველა ანგარიშების, თითქმის კეთილგონიერების წინ უნდა იდგეს; ეს გრძნობა არის—სახელი, თავის მოყვარეობა. ხალხი, რომელიც უარჰყოფს ამ გრძნობას, დაღუპულია. თუ ბერმანიას ჰსურს ჩვენთან მორიგება, ისე მოგვირიგდეს, რომ ამ მორიგებამ არ გააუპატიუროს, არ დაამციროს საფრანგეთი.“ ყველაზე უფრო ის გარემოება უკლავს Siecle-ს გულს, რომ ნემცები პარიჟში უნდა შეეიდნენ.

ბორდო—6 თებერვალს. ჰფიქრობენ, რომ პიკარი შინაგანი საქმეების მინისტრათ იქნება დანიშნული, ჟულ-ფავრი—გარეშე საქმეების, ბიუფე—ფინანსისა, დიუფორი—იუსტიციისა და ლენფლო—სამხედრო საქმეებისა.

— ინგლისის და იტალიის ელჩებმა გამოუცხადეს ტიერს (რესპუბლიკის პრეზიდენტს), რომ იმათი მმართებლობები აღიარებენ საფრანგეთის ახალ მმართებლობასა. თ. მეტენრიხმა (ავსტრიის ელჩმა) ესევე გამოუცხადა ტიერს, ავსტრიის მმართებლობის მხ ით.

ინგლისი

თებერვლის 9-ს (იანვრ. 28) გაიხსნა ლონდონში პარლამენტი. ტრონის სიტყვაში, რომელიც ან თვითონ კოროლევამ, ან იმის პირველმა მინისტრმა უნდა წარმოთქვას, სხვათა შორის მოხსენებულია, რომ „თუ პრუსიამ მორიგების დროს, ზომიერობა არ გამოიჩინა, შესაძლებელიაო, რომ ამ სახელმწიფოსა და საფრანგეთს შუა ბრძოლა განახლდესო. რაც შეეხება შინაგან საქმეებსა, ტრონის სიტყვაში გამოცხადებულია, რომ ინგლისის ჯარს კიდევ 20 ათასი კაცი უნდა მოემატოს და უნდა ვეცადოთ იმის უკეთეს გაწყობილებისთვისო.—ლორდების პალატაში გარეშე საქმეების მინისტრს—ლორდ ბრენვილს—გამოუცხადეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ მმართებლობამ დანიშნა ლონდონში კონფერენცია მაშინ, როდესაც საფრანგეთის წარმომადგენელს არ შეეძლო იქ ყოფნა. ლორდ ბრენვილმა გამოაცხადა ამაზე, რომ იმ საგნების დაბოლოებით გადაწყვეტა, რომელსაც ახლა კონფერენცია განიხილავს, მხოლოთ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც პრუსიასა და საფრანგეთს შუა ომიანობა გათავდება.—

ლონდონის პირველს კონფერენციაზედევ ოსმალეთმა გამოაცხადა, რომ, შავი ზღვის ნეიტრალიზაციის მოსპობის მაგიერათ, იმას უნდა მიეცეს უფლება ბოსფორში და დარდანელში თავის ნებით გაუშვას გარეშე სახელმწიფოების სამხედრო ხომალდები. ამ წინადადებაზე, რუსეთის წარმომადგენელს გარდა, პირველში ყველა დაეთანხმა ოსმალეთს; ამას წინეთ ბერლინიდამ მოვიდა ამბავი, რომ ზემოხსენებული უფლება მიეცა ოსმალეთსაო. ამბობენ, რომ ავსტრიას თავის მხრით ჰსურს ამ შავი ზღვის საქმით ისარგებლოს და რუმინიისაკენ უჭირავს თვალები. ერთს ვენის გაზეთში თითქმის პირდაპირ არის გამოთქმული რუმინიაზე, რომ „ამ პატარა ქვეყანას თვითარსებობა არ შეუძლია, ის უსათუოთ რომელსაშე დიდ სახელმწიფოს უნდა მიეკედლოსო“.

იტალია

იტალიის კაროლს თავის რეზიდენცია ჯერ არ გადუტანია რომში. რომიდამ იწერებიან, ვითომც პაპი მანამ დარჩება ამ ქალაქში, სანამ ვიქტორ-ემმანუილი ნამდვილათ არ გახდის იმას თავის სატიტო ქალაქათ, ე. ი. სანამ თვითონ არ გადმოსახლება, და პარლამენტსა და სხ. უმთავრეს სასამართლოებს არ გადმოიტანენ.

ოსმალეთი

მკითხველს ეხსომება—რა უთანხმოება მოხდა შარშან კოსტანტინოპოლის სომხებში. ეს უთანხმოება იყო კათოლიკე სარწმუნოების სომხებ შუა და გათავდა იმით, რომ ორ პარტიათ გაიყვენ: მღვდელი გასუნი შეადგენდა იმ პარტიას, რომელიც ყველაფერში ემორჩილება რომის პაპის ბრძანებასა და წესს; მეორე პარტია კი ამის წინააღმდეგია. ახლა მოვიდა კოსტანტინოპოლიდამ ამბავი, რომ ამ მოკლე ხანში ამ ორ პარტიას შუა შეტაკება მომხდარა. აი, რა ყოფილა ამის მიზეზი: გასუნს სდომებია კათოლიკე-სომხების ეკკლესიაში წირვა, მაგრამ რადგან მეორე პარტია ამის წინააღმდეგი ყოფილა, ამ წირვაზე მარტო თავის მომხრეები დაუპატიჟნია. დაუწყია თუ არა გასუნს წირვა, ამ დროს უეცრათ რამდენიმე მეორე პარტიის კათოლიკე-სომხები შეეარდნილან ეკკლესიაში, მოუმხდარა საშინელი არეულობა, გაჩენილა ცემა-ტყეპა და ამ ჩხუბში ოთხი კაცი მოუკლავთ და რამდენიმე დაუჭრიათ. ბედათ, ამ დროს მოუსწრია ერთ ბათალიონ თათრის ჯარს და დაუმშვიდებია მაჩხუბრები. გასუნს მაინც არ მოუშლია თაეისი და მეორე დღეს ამავე ეკკლესიაში უწირავს, მაგრამ ერთი როტა თათრების ბაშიბუზუკები საყდარშივე იყვენ თურმე და უყურებდენ, რომ ხელ-მეორეთ არეულობა არ მომხდარიყო.

ამ კვირის ტელეგრამმები

„მმართებლობის მოამბის“ ტელეგრამმა:

ს. პეტერბ., 17 თებერვ. კოროლი ვილღელმი რუსეთის იმპერატორს:

პრუსიას არასოდეს არ დაავიწყდება, რომ თქვენ დაავალეთ იმას, რომ ომიანობა დროზე გათავდა.

ხელმწიფე იმპერატორის პასუხი:

ბედნიერი ვარ, რომ მქონდა შეძლება, როგორც ერთგულ მეგობარს, დამემტკიცებინა ჩემი თანაგრძნობა. ჩვენი მეგობრობა იყვეს ჩვენი სახელმწიფოების ბედნიერების საფუძვლათ.

ს. პეტერბ., 19 თებერვ. ბორდოდამ. მორიგების პირობები დამტკიცდა 546 ხმის უმეტესობით; მოწინააღმდეგე ხმების რიცხვი—107-ია. (განმაწესებელ კრებაში)

— კრებამ აღტაცებით დაამტკიცა რეზოლიუცია, რომლის ძალით იმპერია მოისპობა და საფრანგეთის უბედურობის ბრალი ნაპოლეონს ედება.—

ნამდვილი მიზეზი სხვა და სხვა ავათმყოფობისა.

ძველ ექიმებსა და სწავლულებს, რომელნიც სხვა და სხვა ავათმყოფობის მიზეზებს იკვლევდენ, სრულიად უსაფუძვლო და შემცდარი აზრი ჰქონდათ ამ საქმის თაობაზე. მხოლოთ ახალი დროს ექიმები მიხვდენ, რომ ნამდვილი მიზეზი სხვა და სხვა გვარი ავათმყოფობისა არის თვითონ კაცის ცხოვრება და გარემო მყოფი ბუნება. რაც უფრო უკეთ ცხოვრებს კაცი, ისე უფრო იშვიათად ხდება ის ავათა და, ამის წინააღმდეგ, რაც უფრო ცუდათ და გაჭირვებით ცხოვრებს, ისე უფრო ხშირათ ეწვევა იმას სხვა და სხვა სენი. ადამიანი მუდამ ბუნების გავლენის ქვეშ არის, მთელ თავის სიცოცხლეს ის ამ ბუნებასთან ბრძოლაში ატარებს. ბედნიერი და ჯანმთელი ის არის, ვინც გაიმარჯვა ბუნებაზე; და ვისაც ბუნებამ აჯობა, ვარდება სხვა და სხვა უბედურებაში და სხვათა შორის ავათმყოფობაშიაც. ამ წინადადების დასამტკიცებლათ შემდეგ მოსაზრებას მოვიყვან.

ვისაც რომელიმე ხალხის ცხოვრებისთვის უდევნებია თვალ-ყური, იმან კარგათ იცის, რომ ყოველგვარი ავათმყოფობა და ჭირი ერცელდება ცუდ, მოუსაველიან წელიწადებში. სახადი, ჭირი, ხურება და სხა გადამდები ეპიდემიები მოუსაველიან წელიწადში საშინლათ ხშირდებიან და შეუბრალებლათ ჰხოცენ ღარიბ ხალხსა, იმ ხალხსა, რომელიც ყველაზე უწინ გრძნობს მოუსველობის ნაყოფს—შიმშილსა. სწავლული ექიმებისაგან შენიშნულია, რომ შიმშილობის დროს, განსაკუთრებით სახადი ერევა მდაბიო ხალხს და ბევრ მსხვერპლს იტაცებს იმათგან. უკანასკნელ დროს შენიშნეს აგრეთვე სწავლულ ექიმებმა, რომ ზოგიერთ ალაგს მუშა-ხალხი, რომელიც ესთქვათ დამშეული არ არის, მაგრამ მუდამ უნოყიერო და უვარგის საჭმელსა სჭამს, ხშირათ ხდება ავათ ხურებითა. ესევე შენიშნეს იმ სასწაველებლებში, სადაც ბავშვებს კარგ და სუფთა საჭმელს არ აჭმევენ. ესევე ითქმის ხოლერაზე, რომელიც შარშან გვეწვია ჩვენ. გამოკვლეულია, რომ ხოლერა იწყება პირველათ ქალაქში იმ უბნებიდამ, სადაც ცუდათ ცხოვრობს ხალხი, რომელიც რიგიან საჭმელსა ვერა სჭამს, ვიწრო, შეხუთულ სახლებში სცხოვრობს და საზოგადოთ რიგიანით ვერა დგას. საზოგადოთ ხოლერა ეტანება ისეთ გვამებს, რომელნიც, თუმცა საკმაოთა სჭამენ, მაგრამ ისეთ საჭმელს (მცენარეულს), რომლის მოსანელებლათ სტომაქს და ნაწლევებს ბევრი მუშაობა სჭირდებათ. შარშანდელი ხოლერა ჩვენში შეძლებულ და მდიდარ ხალხს თითქმის სრულიად არ მიჰკარებია, ამიტომ რომ საზოგადოთ ის კარგათ ცხოვრებს და ამით იცილებს თავიდამ სხვა და სხვა ავათმყოფობასა.

ღარიბი ხალხი ხშირათ არის ავათ ქარებითა (რევმატიზმით); ეს ავათმყოფობა ეტანება იმათ, ვინც ციესა და ნოტიო სახლებში დგანან. რევმატიზმს დიდი გავლენა აქვს გულის ავათმყოფობაზე; და ვისაც ამ ნაირი გულის ტკივილი აქვს, ის 10—12 წელიწადზე მეტს ვერასოდეს ვერ გაძლებს, ხშირათ კი უეცრათაც კვდება. ამისთანა ავათმყოფს საშინლათ სწყინს ფიზიკური მუშაობა. წარმოიდგინეთ საწყალი მუშა, რომელიც ხელების მუშაობით არჩენს თავის თავსა და ოჯახსა და რომელსაც არ შეუძლია კი იმუშაოს!

სხვა და სხვა ხელობას სხვა და სხვა გავლენა აქვს კაცის ჯანმთელობაზე. ხარაზები, მკერვლები, მქარგავები და მესაათები, რომელნიც მუშაობის დროს მუდამ დამჯდარნი უნდა იყვენენ და ამ ნაირათ გულ-ღვიძლი და სტომაქი შეხუთული აქვთ, ხშირათ ამ სხეულის ნაწილების ავათმყოფობით არიან ავათა. სტომაქისა და ჭიპის ავათმყოფობა, აგრეთვე ჭლერქი ათასობით ხოცავს ამ მოხელეებსა. ექიმები სხვა და სხვა სახადისაგან, ჭლერქისაგან და ყვავილისაგან კვდებიან ხშირათ; ქვის-ნახშირის მადნებში მომუშავეები და რკინეულის მკეთებლები კვდებიან ფილტვების გაგანიერებით. ხიმიკოსები და აფთიაქრები იწამლებიან სხვა და სხვა მაწყინარი ნივთეულებისაგან, რომელსაც აფთიაქში და ხიმიის ლაბორატორიაში ისუნთქვენ.

მე მოვიყვანე რამდენიმე მაგალითები, რომელნიც ცხადათ ამტკიცებენ, თუ კაცის სოციალურს მდგომარეობას რა დიდი გავლენა აქვს იმის სიცოცხლეზე. სხვა ავათმყოფობებს შორის მე არ მომიხსენებია სიმთვრალე, რომელზედაც ახლა რამდენსამე სიტყვას ვიტყვი:

კაცის აგებულობა იმ ნაირათ არის მოწყობილი, რომ ის მუდამ მოძრაობაშია: იმას მუდამ აკლდება ნაწილები თავის სხეულისა და მის ნაცვლათ მუდამ შემოსავალიც სჭირდება ამ დანაკლისის შესავსებლათ. მუშა-კაცისათვის, რომელიც უფრო მომეტებულს ხარჯავს თავის სხეულის ნაწილებიდამ, ყოველ დღე საჭიროა ერთი გირვანქა ხორცი და ერთი გირვანქა პური, სასმელს გარდა. ვინც მუქთათ ატარებს დროს, იმათ უფრო ნაკლები საჭმელი სჭირდებათ; ეს ხომ ყველასთვის ცხადია. ახლა მითხარით, მუშა-ხალხი ყოველ დღე სჭამს ერთ გირვანქა ხორცსა? ყოველ დღე კი არა, კვირაც გაივლის, რომ ერთ ლუკმა ხორცსაც ვერსად იშოვის. მაშ როგორ შეავსებს ის თავის სხეულის დანაკლისს? ნოყიერი ხორცის მაგიერ, ის სჭამს მარტო პურს, ან მცენარეულს რასმე: კარტოფილს, ჭინჭარს, კომბოსტოს და სხვა წვანილეულს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ნაირი მცენარეული საჭმელები ხორცის და სხვა მარგები საჭმელების მაგიერობას ვერ უზმენ მუშას, რადგან იმათში მარგებელი და ნოყიერი ნაწილები ბევრით უფრო ნაკლები არიან, და სხეული კი, მუშაობის გამო, მუდამ ხარჯავს.

კაცის აგებულება უხორცოთ დიდხანს ვერ გასძლებს და ჩვენი საზოგადოება ძალიან შემცდარია, როცა ამბობს, რომ მარტო მცენარეული საჭმელით ცხოვრება შეიძლებაო. ვერც ტვინი, ვერც სხვა ადამიანის სხეულის ორგანოები უხორცოთ ვერ იმუშავებენ, როგორც რიგია. შეხედეთ რომელიმე ფაბრიკის მუშებს, ან ცოცხალ-მკვდრებს, ამ გაყვითლებულ და გამხდარ სულდგმულებს და თქვენ დარწმუნდებით—რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ საჭმელს და ხორცეულს განსაკუთრებით. შეგვიძლია ესთქვათ, რომ ჭკვიან კაცს რომ დიდხანს არ მიაკაროთ ხორცეული საჭმელი, იმას უეჭველია მოაკლდება გონების გამჭრიახობა. შეხედეთ ხორცის-მჭამელ ცხოველებსა: ლომს, ვეფხვს, მგელსა და მერე ბალახის-მჭამელებსა: ძროხას, ცხენს, ცხვარს—რა განუსაზღვრელი განსხვავებაა იმათ ხასიათში! ეს განსხვავება მომდინარეობს იმათი საჭმელისაგან.

ზევით ვთქვი, რომ მდაბიო ხალხი ძალიან ცოტა ხორცეულსა სჭამს; ამასთანავე უნდა ესთქვა, რომ ამ ხალხში სიმთვრალე ყველა-

ზე უფროა გავრცელებული. რისგან არის ეს?—არაყის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის იხარჯება ადამიანის სხეულის ნაცვლათ. არაყის სმით მდაბიო ხალხი იცვავს თავის სხეულის ნაწილებს, რომელნიც მუშაობაში უნდა დახარჯულიყვნენ და დამწვარიყვნენ ჩვენგან ჩასუნთქული მჟავბადისაგან. ვის არ შეუნიშნავს, რომ, ვინც ბევრსა სვამს, ის საჭმელს ცოტას სჭამს, და წინაალმდეგ ამისა ცოტა მსმელი უფრო მომეტებულსა სჭამს?—აი, რა მნიშვნელობა აქვს სიმთვრალეს! აი, რატომ სვამს მდაბიო ხალხი არაყსა! ის ბევრს მუშაობს, ბევრი ხარჯი აქვს სხეულისა და შემოსავალი (ხორცეული საჭმელი) კი ცოტა. არაყის წყალობით, იმას სული უდგია ქვეყანაზე! ამას ისიც მიუმატეთ, რომ უმეტესი ნაწილი ღარიბი ხალხისა მუდამ დარდში და უმედო მდგომარეობაში არის. ამ დარდს და გულის ნაღველს ღარიბი ხალხი არაყში აღჩობს და დროებით მაინც იშორებს თავიდამ.

საზოგადოებას ცუდ-კაცობისა და სხვა და სხვა დანაშაულობის მიზეზათ ხშირათ კაცის ზნეობითი მხარის ნაკლულევანება, ან იმის გარყვნილი ბუნება მიაჩნია. ამ საზოგადოებას რომ შეეძლოს ღრმათ ჩახედვა ღარიბი ხალხის ცხოვრებაში და კარგათ გაგება იმ გარემოებებისა, რომელნიც ამ ხალხს გარს ახვევიან, მაშინ ის დარწმუნდებოდა, რომ ნამდვილი მიზეზი ყოველგვარი ბოროტებისა, ყოველი ავათმყოფობისა და საზოგადოთ ყველა უბედურებისა—ადამიანის გარყვნილი ბუნება კი არა—ის გარემოებები არიან, რომელნიც ამ ქვეყანაში გარს ახვევიან კაცსა.

Зр. მაღალაშვილი.

ნარევი

*
* *

რამდენიმე იტალიელი სტუდენტი მივიდა გამოჩენილ საფრანგეთის სწავლულ მ ი შ ლ ე ს თ ა ნ—თავის თანაგრძნობის განსაცხადებლათ, როცა ის ფლორენციაში იყო. მიშლემ უთხრა იმათ სხვათა შორის შემდეგი სიტყვები: „ბაიხსენეთ-რა დიდებული იყო თქვენი ქვეყანა, როდესაც ყველა სახელმწიფოებზე წინ იდგა განათლებაში. ახლაც, მეცნიერების შემწეობით, იტალიას შეუძლია მიაწიოს უწინდელ სიმაღლემდი. არცერთი სხვა სახელმწიფო არ არის ისეთ ბედნიერ მდგომარეობაში, როგორც იტალია. ყველაფერი დაეხმარება იმას კეთილდღეობის მიწევნაში. მეცნიერება კი ყველაზე უფრო საჭიროა. შეხედეთ ბერმანიას! რისგან არის ის ასე ძლიერი? მეცნინრებისა და სწავლისაგან. ასე, ემო ახალგაზდა მეგობრებო! იმუშავეთ თქვენი ძვირფასი სამშობლოს გასადიდებლათ, მთელი კაცობრიობის სიკეთისათვის და ხალხების ძმობისათვის.“ სტუდენტებმა ალბომი აჩუქეს მიშლეს, რომელმანც, თავის მხრით, მისცა იმათ ახლათ გამოსული თავის თხზულება: „საფრანგეთი ევროპაში“.

*
* *

იანვრის 26-ს ოდესის ქუჩებში მიჰყვადათ ორი დამნაშავე, რომელნიც ქურდობისთვის სამოქალაქო სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ (სამოქალაქო სიკვდილი—ყოველი ღირსების ჩამორთმევას ჰქვია). იმ ურემს, რომელზედაც დამნაშავეები ისხდენ, აუარებელი ხალხი მისდევდა უკან. სხვათა შორის ხალხს გაჰყვა ერთი მოხუცებული კაციც, რომელსაც რაღაც ხოროგი ეყიდა ბაზარში და თან მიჰქონდა ხელსახოცში გახვეული. ერთი ორმოცი საჟენი გაიარა თუ არა ამ მოხუცებულმა, უცერათ მოისვა ჯიბეს ხელი და დაიყვირა: „მიშველეთ, ფულები მომპარესო!“ დიდხანს ჰყვიროდა ეს საცოდავი და ილანძღებოდა, მაგრამ მიმშველებელი არავინ ამოუჩნდა. მხოლოთ ერთ კარგათ ჩაცმულმა ყმაწვილმა კაცმა მივიდა მოხუცებულთან და ნუგეშათ უთხრა: „ეჰ, ძიაე, ნუ დარდობ! მეც ქესა მომპარეს და შიგ ბარე ორი მანეთიც მქონდა, მაგრამ რა გაეწყობა?“

შესანიშნავი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ქურდობა მოხდა იმ დროს, როდესაც ქურდს თვალწინ ჰქონდა იმის მაგალითი—თუ რა რიგათ ისჯება ამ საქმეში ჩამდენი კაცი. „ეს შემთხვევა იმას გვიმტკიცებსო, სწერენ იმ გაზეთში, რომლიდამაც ეს ამბავი გადმოგვაქვს; რომ გაფუჭებული ზნეობის კაცებზე დასჯას თითქმის არავითარი ზედმოქმედება არა აქვსო“.

ᲛᲝᲛᲠᲘᲖᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘ.

(მომრიგებელი მოსამართლეს წინ, გალერეიას შიგნით, დგანან: მარჯვნივ ღორების ქურდი—ბიორგი ადუაშვილი, რომელსაც გვერთ უდგანან სამი თოფიანი ყარაულები; მახლობლად დგას როსტომა ხმიადაშვილი, მონაწილე ქურდობაში, და მარცხნივ ღორების პატრონი—ომანა ტოჩილაშვილი)

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე (მარჯვენის პირით ჰკითხავს ტოჩილაშვილს) სთქვი დაწერილებით გარემოება შენის საქმისა.

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. რაღა მოგახსენო, შენი ჭირიმე, ამ უსულ-ღმერთომ (ადუაშვილზე იშვერს ხელსა) დამღუპა, დამაქცია, ჯაერისაგან ფეხზედ ძლივსღა ვდგევარ; ეს ოჯახ-დასაქცევი ჩემი ხელით არის მოსაკლავი, მაგრამ ჯერ შენს სამართალს უყურებ.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ეგ სიტყვები სულ მეტი არის! შენ სთქვი, რას სჩივი, ან ვის უჩივი?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ვის უჩივი და ბიორგის (მიიშვერს ადუაშვილზედ ხელს; მერე მიუბრუნდება ყარაულებს) თქვენი გაჭენის ჭირიმე, თქვენი, ეგების თქვენ მაინც მოარჯულოთ ეგ საძაგელი.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე (მოჩივარს). სთქვი მოკლედ.

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. აი, მოგახსენებთ: დამდეგ ქალათვეს ბიორგი მოვიდა ჩემთან და მითხრა—მელღარეთ დაგიდგებიო. მეც ნება მივეცი. მოვიდა და თავისი შვიდი ღორიც თან მოიყვანა და ჩემ სამას ღორში გაურია. ჩემები სულ დარჩეული ღორი იყო, თეთრი ერთ ნაირი; მაგისი კი ზოგი შავი იყო, ზოგს მარტო თავი ჰქონდა შავი, ზოგს ყურები, ზოგს მარტო ფეხები და ზოგს კუდი. ეს კი არის რომ მაგის ღორს სუყველას ყურები ჰქონდათ დასერილები და იმით გაირჩევოდა ჩემი ღორიდგან. მეც, აბა რა ვიცოდი, ჩემი სამასი ღორი ჩავაბარე. ამ ბიჭმა ერთი კვირა კი გაიყვანა, მერმე დაანება თავი ჩემ ღორებს ქუი-წყაროზე და გასწია შინათკენ.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. თავისი ღორებიც თან წაიყვანა?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ოცი თან წაიყვანა; არ ვიცი, მამა თუ სიმამრი მამიკვდადო, რაღაც მაიგონა, და წირვა უნდა გადავიხადოვო.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. მერმე?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. მერე, შენი ჭირიმე და წავიდა, წავიდა და წავიდა, და ორი კვირა ღვინობის თვემდინ აღარ მოსულა. აბა, შენი ჭირიმე, უპატრონოთ ხომ ვერ გაუშვებდი ღორსა და ჩავეშველე ქუი-წყაროზე. შენახო, ეს ბიჭი ორ კვირა ღვინობის თვეს მოვიდა და მითხრა: რავქნა, ომანავ, ჩემი ღორები მამეცი, მინდა შინ წავიდეო. მე, რაში დაუჭერდი ღორებს, მივეცი და გავისტუმრე. ეს ამბავი შუადღის ხანს იყო. მერე, გუთნის გამოშვების ხანი იქნებოდა, წყალი მამწყურდა და წაველ დასალევათ ქუი წყაროზედ; მანამ იქიდამ მოვბრუნდებოდი, მანამ კარგა დაღამდა; მოვედი და, შენ მტერს ეცეს ელდა, რომ შენ ომანას ელდა ეცა: ღორი გაფანტული დამხვდა, დავთვალე და ოცდა თხუთმეტი ღორი აკლდა ჩემ ღორს; მაშინვე ვთქვი, ბიორგის მეტი არავინ მიზამდა ამ ოინსა მეთქი.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. მერმე?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. მერე და აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ღორებისა ველარა გავიგერა; მერე ვიფიქრე, ის ბიჭი თაინათ ხოდაშენს უჩვენებდა იმ ღორებსა მეთქი. იქ, ბატონო, მგონი მოყვრები ჰყავს. (მიუბრუნდება როსტომა ხმიადაშვილს) არა, ბიჭო! შენ ხოდაშნური არა ხარ, მაგისი მოყვარე?

ხ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ი. ახლა რო ვარ?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ახლა ისა, რომ შენ უარესი რაზმონიკი ხარ.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. თქვენ ერთმანეთს ნუ ელაპარაკებით. (ტოჩილაშვილს) მერმე?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ლ ი. მერე და ჩემი ღორები ხოდაშენში აერეკათ, მერე ყანდაურას წაესხათ და ერთ ღორს ისეთ დროს მივასწარ, რომ დანა ისევ ყელში ერჭო, დეეკლათ.... მძლიეღა მიუსწარ ცოცხალს...

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. თუ დაეკლათ, ცოცხალს როგორღა მიასწარ?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. სისხლი გამოსდიოდა, მაგრამ თავს კი ისევ აწყვეტდა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე (ტოჩილაშვილს). ეგ არის დაბოლოვე შენი სათქმელი, რაც იყო?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ოჰ, შენი ჭირიმე, ახლა მოწმებსა ჰკითხე და ისინი გეტყვიან, მე ვტყუი, თუ ესენი.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ადუაშვილს) ტოჩილაშვილი გაბრალებს თავის ღორების მოპარვას. დამნაშავეთა ჰხედავ ამ საქმეში შენ თავს, თუ არა?

ა დ უ ა შ ვ ი ლ ი. მე, შენი ჭირიმე, ტოჩილაშვილისთვინ არა მომიპარამარა. მართალია, შვიდი ღორი წავიყვანე, მაგრამ ჯამაგირში მერგებოდა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. როცა წამაიყვანი, პატრონი გვერთა ჰყავდა ღორებსა, თუ არა?

ა დ უ ა შ ვ ი ლ ი. არა! ბატონო, იქ რო ყოფილიყო, რათ დამანებებდა? კეტით წელს მამწყვეტავდა; ღმერთმა მიბრალა: იმ დროს სადღაც ჯანაბას წასულიყო.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ღორების წამოყვანაში როსტომა ხმიადაშვილიც იქ იყო თუ არა?

ა დ უ ა შ ვ ი ლ ი. არა, ბატონო! მაგას ტყუილათ აბრალებს, მართო მე ვიყავ. სიმართლეს მოგახსენებ; მაინც არ ვიტყვი ტყუილს, თუნდა ტოჩილაშვილმა ერთი იმოდენა ღორი კიდევ სხვა მამცეს; აბა, ტყუილს რათ ვიტყვი, ხვალ უნდა ვეზიარო, მომზადებული ვარ.

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. მოწმები იტყვიან, დაიცა ჯერა.....

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ტოჩილაშვილს) როცა გკითხო, მაშინ თქვი; ეხლა ჩუმათ უნდა იყო. (ხმიადაშვილს) შენ ჰხედავ შენ თავს ამ ქურდობაში დამნაშავეთ, ან მონაწილეთ, თუ არა?

ხ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ი. მე არ მოგიკვდე, მანამ ჩემ სახლში არ მორეკა ადუაშვილმა ის ღორები, მე არ მენახოს.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე (მარჯვენის). მოიყვანეთ პირველი მოწამე.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე (მოწმეს). სთქვი ყოველივე ჭეშმარიტი: არც შოუმატო და არც დააკლო, რაც იცი; წინაალმდეგს შემთხვევაში კანონი მკაცრივათ დაგსჯის.

მ ო წ ა მ ე. რაც ვიცი, ბატონო, სწორეთ მოგახსენებთ: მე ჩემი სული ყველას მირჩევნია, ვერც ადუაშვილი მაცხონებს, ვერც ხმიადაშვილი და ვერცს ტოჩილაშვილი. არ მახსომს კი როდის იყო და ერთხელ საღამო ხანზე, აი ემ ბიჭებს (უჩვენებს ქურდებზე) ღორები მიუდიოდათ ხოდაშნისაკენ; არკი ვიცი რამდენი იქნებოდა.

ხ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ი. (მოწამეს) დახე, დახე, მეც იქ ვიყავ, ბიჭო?

მ ო წ ა მ ე. იქ იყავ მაშა, განა ბრმა ვიყავ, ვერ დაგინახე?

ხ მ ი ა დ ა შ ვ ი ლ ი. აი, ღმერთი შენ გიშველის!

მ ო წ ა მ ე. ღმერთი მე მიშველის, რომ ორივე ერთათ მოჰდევდით ღორებს.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ერთმანეთს ნუ ელაპარაკებით! (ჰკითხავს მოწამეს) რამდენი ღორი იქნებოდა მაგალითად?

მ ო წ ა მ ე. არ ვიცი, ბატონო, არ დამითვლია, თქვენი რისხვა არა მაქვს.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ტოჩილაშვილს) ხომ არასა ჰკითხავ მოწამეს?

ტ ო ჩ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ახლა, შენი ჭირიმე, ჩემ მაგიერათ აის ყმაწვილი მოგახსენებს (უჩვენებს ჰუბლიკაში. ამ დროს წამოდგება სკამიდგან ერთი ყმაწვილი კაცი, რუსულათ ჩაცმული, და შემოვა გალერეიაში.)

ა დ ვ ო კ ა ტ ი. უფ. მოსამართლე! ამა საქმეში ორი დამნაშავენი არიან: ადუაშვილი და ხმიადაშვილი. დანაშაულობა პირველისა ამათგანის ამოჩნდა იმისივე ჩვენებით; მაშასადამე ახლა ჩვენ უნდა დავამტკიცოთ მეორეს დანაშაულობა. ამისათვის ნება მომეცით, უფ. მოსამართლე, მივსცე მოწამეს რამდენიმე კითხვები.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. შეგიძლიანთ.

ა დ ვ ო კ ა ტ ი. (მოსამართლის პირით ჰკითხავს მოწამეს) რა ფერი იყვნენ ღორები?

მ ო წ ა მ ე. თეთრები იყვნენ.

ა დ ვ ო კ ა ტ ი. რამდენი იქნებოდა, მაგალითად, და ან ხმიადაშვილიც მოსდეედა ღორებს, თუ არა?

მ ო წ ა მ ე. რა ვიცი, თხუთმეტიოდე იქნებოდა; ორივე ერთად მეერეკებოდნენ ღორებსა.

ა დ ვ ო კ ა ტ ი. (მოსამართლეს) ბთხოვთ ჩასწეროთ პროტოკოლში ეს უკანასკნელი სიტყვები მოწმისა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (მარჯვენის) მოიყვანეთ მეორე მოწამე.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (მეორე მოწამეს) სწორეთა სთქვი, რაც ამ საქმეზედ იცი.

მ ო წ ა მ ე. მე რა ვიცი? რაც ვახტანგაშვილმა მოგახსენა, მეც ის მინახამ, სხვა არაფერი.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. შენ ხომ არ გაგიგონია; რა იცი, რა სთქვა ვახტანგაშვილმა?

მ ო წ ა მ ე. აქ თუ არ გამიგონია, გზაში ხომ ერთათა ვნახეთ ღორები, ადუაშვილი და ხმიადაშვილი. ერთი სიტყვით, რა ბევრი გავაგძელო, ერთი საწყალი კაცი ვარ, ღორებს, ორივე მოჰდევდნენ ეს ბიჭები (უჩვენებს ადუაშვილზედ და ხმიადაშვილზედ).

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ადვოკატს) ხო არაფერი გაქვთ საკითხავი მოწმებთან?

ა დ ვ ო კ ა ტ ი. არაფერი. მხოლოთ პროტოკოლში შეიტანეთ, რომ მეორე მოწამეც იმოწმება იმაზე, რომ ღორები ჩემ მრწმუნებელს ეკუთვნის.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. საიდამ გამოგყავთ თქვენ ეგა?

ა დ ვ ო კ ა ტ ი. იმისგან, რომ ტოჩილაშვილმა პირველ ჩვენებაშივე სთქვა, რომ დაკარული ღორები, აგრეთვე როგორც მთელი ჯოგი, ეთრი ფერისა იყოო.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ქურდებს) თქვენ რასა ჰკითხავთ მოწმებს?

ქ უ რ დ ე ბ ი. (ერთხმივ) რაღა ეკითხოთ! ტოჩიაშვილი თითო ღორს დაჰპირებია მოწმებს და ჩვენკენ რაღათ ილაპარაკებენ. მაგათ იციან და მაგათმა სულმა....

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (მარჯვენის) მოიყვანეთ მესამე...

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (მესამე მოწამეს) შენ რაღა იცი?

მ ო წ ა მ ე. მე ეს ვიცი, რომ ადუაშვილმა და ხმიადაშვილმა ამაატარეს ჩვენ კარზე თეთრი ღორები და ის ღორები სამ დღეს უკან ყანდაურაში გადარეკეს.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ადვოკატს) რა გინდათ ჰკითხოთ.

ა დ ვ ო კ ა ტ ი. (მოსამართლის პირით ჰკითხავს მოწამეს) რამდენი ღორი იქნებოდა?

მ ო წ ა მ ე. რა ვიცი, შე დალოცვილო, რა ღორებსა ვთვლიდი, რაში მეკითხებოდა, მკვდარი წინ მედო: იმ ხანათ ზარალი მოგვივიდა, ჩემა რძალმა შენი ჭირი წაილო. ეს კი ვიცი, რომ ბითუმათ სულ თეთრი ღორი იყო.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ქურდებს) ხომ არა გაქვსთ რა საკითხავი მოწამესთან?

ქ უ რ დ ე ბ ი. (ერთხმივ) რა ეკითხოთ, შენი ჭირიმე, აბა, რა ვიცით ეგ ადვაკანტი სულ რუსულათ მოგახსენებს: იქნება სულ ჩვენ უარიგოსაც ლაპარაკობს.

ა დ უ ა შ ვ ი ლ ი. (საკუთრათ) თუ კი ასე იყო, მე კიდევ ზმანტრიტელს წამოვიყვანდი: ის კიდევ ჩემკენ იტყოდა ერთ-ორ სიტყვას.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ადვოკატს) იტყვით თქვენ კიდევ რასმეს?

ა დ ვ ო კ ა ტ ი. მოწმეების ნაჩვენებით სრულიათ მტკიცდება ბრალდებულების დამნაშაობა. უმორჩილესათ გთხოვთ, დაუნიშნოთ იმათ კანონიერი სასჯელი და გადაახდევინოთ, ტოჩიაშვილის სასარგებლოთ, მოპარული ღორების ფასი. სასამართლოს ხარჯიც იმათვე უნდა გადახდეს.

(მსაჯულება გათავდა და შემდგომ ნახევარ საათისა მოსამართლემ წაიკითხა თავისი განაჩენი, რომლის ძალითაც ქურდები უნდა იყვნენ დაჭერილები რვა-რვა თვე და კიდეც მისცენ მოდავეს ღორების ფასი).

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ქურდებს) თქვენ თანახმანი ხართ ჩემს გადაწყვეტილებაზე?

ქ უ რ დ ე ბ ი. (ერთხმივ) ყაბული არა გვაქვს. ახლა ჩვენ შამოვიტანთ ჩვენ პასუხს. ბანა ჩვენ ვერ ვიშოვნით ადვაკანტს.

ა დ უ ა შ ვ ი ლ ი. (მოსამართლეს) ბატონო, გამიშვით; მე ჩემ ჯამაგირის ქალალდს მოგართმევ და იქიდგან გამოჩნდება ჩემი სიმართლეცა და სიმტყუნეცა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ქურდებს) იშოვეთ თავდებები და ორი კვირის ვადა გაქვთ საჩივრისა ოკრუჟნი სუდში ჩემს გარდაწყვეტილებაზედ. ის საჩივარი უნდა შემოიტანოთ ჩემთან და მე გავგზავნი.

ქ უ რ დ ე ბ ი. (ლუდუნებენ) ეხლა კი არ იყო თქვენთან ქალალდები, რომ ჩვენ არა გვეშველა რა!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (ქურდებს) თუ გყავთ, მოიყვანეთ თავდები, თუ არა და საპყრობილეში გაგგზავნით; ისეთი თავდებები კი მოიყვანეთ, რომ მე ვიცნობდე.

ქ უ რ დ ე ბ ი. (ეძახიან თავის ძმებს) მოდით, ბიჭო, გვითავდებეთ.

ძ მ ე ბ ი. დიახ, დიახ! ბინდათ, შვილო, წახვიდეთ სადმე და თქვენ მაგიერ ჩვენ ჩაგესხან ციხეში?

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (თავდებებს) სდგებით თავდებათ, თუ არა?

თ ა ვ დ ე ბ ე ბ ი. (ერთხმივ) არა, ბატონო! იმათი შარიდგან ღმერთმა დაგვიხსნას.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. (გაბრუნდება და მარჯვენს ეუბნება) მისწერეთ ქალალდი საპყრობილეს ზედამხედველს, რომ ორივე ახლავ წაიყვანონ.

(ბავა)

(ამ დროს პუბლიკიდგან ვილაც ეტყვის ქურდებს: „წადით, შვილო; ნუ გეშინიანთ, კარგი თფილი სახლებია.“ ქურდებს გაგზავნიან საპყრობილეში და ხალხი დაიშლება).

Ალექსანდრე შიუკოვი.

ქ. თელავი, თებერვალს 12.

1871 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Февраля 1871 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.